№ 2 მაისი, 1913 წ. გამოც. 11 ფასი 5 კაპ.

# კონდახი

საოხუნჯო ალმანახი

გამოვა დრო-გამოშვებით, სხვა-და-სხვა სათაურით. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება: შრომის სტამბაში, ალმანახისათვის.



გაზაფხულის სურათები ბალის კუთხეებში.

## ხუცების კონდახი

**და მათი ათი მცნება.**

(ვუძღვნი რაჭველ ხუცებს)

1

ჩვენ ვართ ძლიერი თქვენი მოძღვარი
მეტათ ხარბი და გაუმაძღარი,
არა იცნობდეთ თქვენ დანარჩენსა
არც ერთ უფროსსა თვინიერ ჩვენსა.

2

არ მოაკლებდეთ თქვენსა მოძღვრებსა
მოხრაკულ ქათმებს, შემწვარსა ცხვრებსა,
ყოველსა ლხინზე მათ მოიწვევდეთ
და თამადათაც ამოირჩევდეთ.

3

ოდეს მოძღვარი მოგადგეს კარსა—
მყისვე მისცემდეთ უხვათ ქანქარსა,
ხაჭაპურებსა მას შინა ჟამსა
ჩაწყობილ ჰყოფდეთ თვისსა აბგასა.

4

მიცვალებულსა კრძალვიდეთ ოდეს,
თუ გინდათ სული მისი რომ ცხონდეს,
უხვათ გაიღეთ თქვენ სასყიდელი,
კარგათ ილოცავს იმისთვის მღვდელი.

5

მეხუთე მცნება, შვილებო ჩემო,
დიდი არს, ვიცით ჩვენ მისი გემო:
ხშირათ მიართვით სასმილ-სალხინო,
„ზედაშისათვის“ — წითელი ღვინო.

6

შეასრულებდეთ მეექვსე მცნებას,
აუსრულებდეთ ხუცებს რაც ნებავს,
გადაიხდიდეთ თქვენ ვალსა მისას
და მიართმევდეთ ფულსა დრამისას.

7

ვინც ჯვარს დაიწერს, ვალდებულია
რომ გადიხადოს ბევრი ფულია,
მღვდელმა ქორწილზედ ყანწით ხელშია—
შავი ნუნუა ასხას ყელშია.

8

მერვე მცნებასა ესრე უწყიდეთ:
საკურთხი მკვდრებსა ხშირათ უზიდეთ:
თქვენ აასრულეთ ადათი, წესი
და გამოაძღეთ მაგრათ ხუცესი.

9

მორჩილი იყავ მოძღვრისა შენის,
სულიერ მამას ეგრე შეშვენის,
ვიდრე ცოცხალ ხარ უხრიდე თავსა
და თუ მოკვდებით—ვაი ქვენს ტყავსა..

10

ბევრი შვილები გებადებოდეთ,
რომ მათ ნათვლაზე ხშირათ ვთვრებოდეთ,
ხოლო სიკვდილით მეტი კვდებოდეთ,
რომ ქელეხზედაც გამოვძღებოდეთ.

—

ვინც დაარღვიოს ესე მცნებანი,
მას მიენიჭოს დიდი ვნებანი,
თუ არ შეაქმევთ ხუცებს ქონებას
თქვენ ვერ მიიღებთ სულის ცხონებას!

**კვახაძე.**

# მესტვირული

უპატრონოთ მიგდებულო,
ქამანჩა და ჩემო სტვირო!
არც მით რამე გაკეთდება
რომ დავჯდე და სულ ვიტირო.
თუმცა ვიღაც ავაზაკმა
ეს აღდგომა წაგვამწარა,
ჩემი სიმწრით ნაშოვარი
ულვთომ, ჯიბეს ჩაიყარა!..
ფოთიდან ფულს მოიტანსო,
ბევრი იყო მედოული;
შინ ცოლშვილის მწარე კვნესამ
ლამის მომიწამლოს გული.
გასაჭირში ისევ შენ ხარ
ჩემი შემწე და ერთგული,
ამეტყველდი, ზედ დაგმღერო
ევებ გავხდე მხიარული...

—

სამტრედიას მივებარგოთ,
ძველებურის ღიღინითა;
აქ არწივი ვინახულოთ,
რომ გვაყრუებს წრიპინითა!
ვკითხოთ: ბნელ-გულ, შავ-ნისკარტას,
შავ-ფრთოსანს და კლანჭებიანს,
თავს მალავს და კუდი უჩანს
ამ უბადრუკს და შავ-დღიანს!..
თერთმეტ მარტს, ბანკის კრებაზე
გაგვიგია რაც მომხდარა,
მამულიშვილთ მდევ-გმირობა
რაც აიხსნა—კმარა, კმარა;
კომისიის გამოკვლევა
ვიცით რისთვის დასამარდა,
ქარნქარი სით წარედინა,
თქვენ დავთარიც რას გიგავდა!
რათ უფრთხოდით ფარულ კენჭსა
თუ იყავით კაი სული,

# შრომისა შვილი

შრომის შვილი ვარ, დაჩაგრული, ბედით დევნილი,
ღარიბ-ღატაკი. უთვისტომო, მიუსაფარი,
კაცურ უფლებებს მოკლებული, მონათა ქმნილი,
მძიმე უღელ ქვეშ ქედ-მოხრილი, მუდამ მკვნესარი!
მკაცრი ცხოვრების ზღვის ტალღები შხამ-გესლიანი
ზარით, ზათქანით გულ-მკერდზედა მეჯახებიან
და თავდა-ყირა გადავდივარ მე შავ-დღიანი,
ლამის დავიღრჩო, მკლავნი ძალზე მისუსტდებიან!
კაცი არ არის, მომაშველოს მხსნელი ბორანი,
დატანჯულ სულის მოვიპოვო ნავთ-საყუდარი!..
ხოლო თავზედა გადმომჩხავის შავი ყორანი
და ჩემს გარშემო ბოროტ სულთა ისმის ხარხარი!..
ძენო კაცთანო, ბედით მტკბარნო, სულით მზაკვარნო,
რომელთ სიმდიდრე მიგაჩნიათ თქვენდა დიდებათ,
ნუ თუ სინდისი არ გაწუხებსთ, თქვე უტიფარნო,
რომ შრომის შვილი მონებაში თვალ-წინ გიკვდებათ?!.

**ალ. საჩინოელი.**

# მ ა ტ ა ნ ტ ა ლ ა

**სცენა.**

(ვუძ. ვ. ა. აბაშიძეს).

**გრიშა.** (გამოდის მტვრიანი, პაპიროსს ეწევა.) ღმერთმა დაიფაროს თუ კაცი თავიდან სუბუქია! ვერაფერს შეისწავლის, რაც გინდა ეჩიჩინო! .

მინამ პატარა ვიყავ და დედ-მამისა მეშინოდა, ვწავლობდი, შევასრულე ექვსი კლასი, შეველ ჩინოვნიკათ მაგრამ რაკი გავიცან მეგობრები, ჰერი! ერთხელ ავცდი მუშაობას, მეორეთ და...

შემდეგ კი მკრეს პანღური,
გაფრინდა სამსახური?
აქა-იქ ვეთრეოდი,
არ მქონდა ლუკმა პური!
ჩამომეცალნენ მეგობრები, პირზე აღარავინ მიყურებდა...
რაკი ბედმა გამაწვალა,
შევიქენი მაწანწალა!
ვეღარავინ ვერ მიშველა,
დავდიოდი ფეხ-შიშველა.

ჩემი თავისთვის თითონ უნდა მეშველა რამე, ჩემის ხელით დავწერე თხოვნა და მივართვი „სისკნოი ადელენიის“ უფროსს, რომ მე შემეძლო ისეთი ხალხის დასმენა, რომელნიც არიან მთავრობისთვის მავნენი და საზოგადოების მყუდროების დამრღვევნი... მიმიღეს. ახლა როგორ გინდათ! არ ვიცი, ვინ დავასმინო! ეს ჩვენი ბიჭები გავიმეტო, როგორ მოვახერხო თუ არა და მაშ რაში მიმცემენ ჯამაგირს ჩემისთანა ვირს?!

უმადლოდეთ თავ-მჯდომარეს
მგონი გყავდენ მოქრთამული!..
მარა, თქვენ რა უნდა გითხრათ,
იწრიპინეთ, იფხაკურეთ,
სირცხვილ ნამუსს რას უყურებთ,
ოღონდ თავი დაიპურეთ!..

—

აქედან მარშ, ჩემო სტვირო!
ფოთში წავჩანჩალდებით,
იქაურსა ხის მყიდველებს—
დაუდგებათ თვალებით.
ყბები აქვენ ვეშაპისა,
მუცლები კი—მგელისაო,
ენა—მლიქვნელ მოქარგული,
გული—ასპიტ გველისაო.
მთლათ სინდისზე მწყრალათ არის
გაიძვერა ლადიაო,
ჩხარტიშვილიც იმას აჰყვა -
მოგვიწყვეს ხაფანგიაო!..
ამ სკელეზე, მიკიტნებში
ივანეა რჩეულიო,
გაქნილ-გაიძვერობაში
ხელ-მარდ გამოჩვეულიო!
ჩათ მოგიტანს—მღვრიე ტალახს,
თვით დაშაქრავს მისებურათ!
საჭმელს შეთითხნ-შემოთითხნის
და შეგაჭმევს უგემურათ.
აბა ფოთის სასტუმროებს—
სუფნიკების საბუდარებს,
სხვა ღირსებებს ნურას მოსთხოვ
ქალებს ორმოცს დაგიბარებს!.
აქ ქუჩებში ვერ გაივლი,
არხებს ასდის შმორის სუნი,
ლოყორწია ბაყაყთაგან
ვერ მორეცხეს ამ ფოთს მუნი!
ღმერთო მიეც ფოთის მამებს:
თვალნი ხედვათ, ყურნი სმენათ,
ღმერთო მიეც შხანკოლასაც—
სტვირი მათდა მოსალხენათ*).

**შხანკოლა.**

---

*) ღმერთო მიეც ბეშტიასაც
ძალა—მტრების მოსადენათ,
ვისაც გაჰკრას იარაღი
აღარ იყოს მოსარჩენათ.

ბეშტია.

ბევრი აღარ მიფიქრია, სადაც იქაურ აგენტებს მოვასწარი სულ ისენი დავასმინე, ვინ რესტორანში იყო, ვინ საროსკიპოში, ან სამიკიტნოში ყველა მივეცი უფროსს. ასე, რომ თვით უფროსი ვნახე გადაცმული სასტუმროში და პროტესტი გამოვუცხადე! დაუძახა პოლიციელებს, ჯერ ერთი კარგათ „მაქეიფეს“, ისეთ ისეთი კონდახები მცხეს, რომ სულ მგლისგან დაგლეჯილი ხბოსავით მაბღავლეს!

მათ ჩამაგდეს კარცერში,
სამი დღე ვეგდე მტვერში.

გამომიყვანეს და დამიწყეს ხელ-ახლათ ცემა; არ ვიცოდი საქმე რაში იყო, თურმე ვიღაც ჩემი ცოდვით სამსეს, პორტფელში ძველი პროკლამაცია არ ჩაუდვია! ეეჰ, მირტყეს და მირტყეს, რო სულ გველივით ვიხლაკნებოდი!

ციბრუტივით მატრიალეს,
ვირისავით მაღრიალეს!!

მეტეხში გამგზავნეს ხელ-ფეხ შეკრული, მშიერ-მწყურვალე, კრიჭა შეკრული! წელიწად ნახევარის შემდეგ ციხიდგან გამანთავისუფლეს... მართალი, რომ მოგახსენოთ ამ თავისუფლებას, ისე ტყვეობა მერჩივნა! წარმოიდგინეთ, ეს სიმშილი ხომ მაწუხებს, სადაც ჩემი მეგობრები შემხვდებიან, პატივისცემის მაგივრათ ისეთ ნაირათ მბეგვამენ ხოლმე, როგორც საბურღულე ხორბალი! „იმ სამსახურში რათ შეხვედიო!“ ვითომ ესეც სამსახურია რაღა!..

**მ. ღელაშვილი.**

---

*
* *

ჩუ!.. ნიავი რას შიშინებს,
რას დაგვკვნესის—ვუგდოთ ყური;
ეგებ უცხო ამბავს ჰყივის,
ან კავშირი მოაქვს ძმური!?

ან და ეგებ—ქარიშხალის
ამოვარდნას ელოდება
და წარსულის მაგალითით,
ერთ ადგილზე ველარ დგება!

ან ეგების მაშვრალთ კვნესა
გულს ჩაესო ვით ისარი;
მოაგონა მათი ტანჯვა
და ცხოვრება საზიზღარი!

აჰ!.. ნეტავი მეც შემეძლოს,
მისებრ ფრენა და ნავარდი,
რომ ჩაგრულნი ვანუგეშო
და მჩაგვრელებს—ვმატო დარდი!..

**ვ. აბრამიძე**

**ჩვენი „თავის“ სიმღერა.**

— სანამ მე თქვენ არ მოგემხროთ
მანამ არ დამიბერდითო!..
პოლიტეხნიკუმს ვაშენებ,
მყრალ სალახანის გვერდ თო,
მხოლოთ აქ არის სავანე
გრიგორიანთა გვარისო
მიმთვისებელი, მომსპობი
ქართველთა სანუკვარისო,
მაგრამ ვერავინ დამძრახავს,
რომ მივეშველო გვარსაო.,.
თქმულია: „თხას თხა ურჩევნის
თუნდა ათას სულს ცხვარსაო!“

**ნოშრევანიძე.**

---

# გურული სცენა

**ელპიტი და ეკა.**

— დილა მშვიდობის ელპიტი.

— ღმერთმა მშვიდობით მიმყოფა შენი თავი ჩემო ეკა; ჩოხატაურში თუ იყავი გუშინ თუ ქალი ხარ?

— ვიყავი ქალო, ვიყავი, მარა ახლა მიკვირს რამ ამაჯახრიკა აი მოლაზონი; ციცამ დეიჩემა თვარ წეველი თავი ცოცხალი არ მინდაო, მარტუაი ველარ გაუშვი და ქე წავყევი. ფულის მომგონს რა უთხრა, თორემ ბევრი თავის საქცევი ანბებია ქვეყანაზე.

— მითხარი მართლა რა ანბავი იყო ვინცხა დიდი კაცი იყო მოსრულიო.

— დიდი კაცობის მე ვეფერი შევატყვე იმას და რა ვიცი. ყველაი იძახოდა გაუმარჯოს ლადოს! გაუმარჯოს მესხიშვილსო და ისთე პირზე რომ შეგეხედა — ერთი ქალ-კაცაი ჩალანდარი რომ დეიარება სურებიდან ქოსა, თლად იმას გავდა, არც წვერი ქონდა და არც ულვაში იმ ოჯახ კეტიანს მთლად მიეტანტალებია ყოლიფერი.

— სიდგან მოვიდა თუ იცი?

— სიდგან და ოზურგეთიდგან, იქინეი ყოლოდენ დაპატიჟებული ხუთ მაისს.

— ვითამ რას ჩაფრენიან ამ გაპუტულ ბერი კაცს რა უნდებიან?

— რა უნდებიან და, შენ ოცდა ათი წელიწადია რომ გვემსახურები ჩვენო, სიამაყე ხარ ჩვენიო. ხო და ყოლიფერი... რა ვიცი, რაც უთხრეს მე რაფერ ვიტყვი იმას ყველას.

— ვინ უთხრა აწი?

— ვინ? რა ვიცი საფსე იყო მასწავლებლები. წიგნის მაღაზია, რო აქვს ჩახატაურში იმანც კი უთხრა, მარა რაცხა ისთე კარგათ კი წუუკითხა, გესიამოვნებოდა კაცს და ზოგიერთებმა ქე დეიბნენ. გამოვიდა ერთი ჩაფოლაქებული მასწავლებელი ბარბაწაძე არისო, გაკრუსუნდა ქვეყანა, რაცხას კას იტყვისო, დიეკავებია ხელში ერკახე ქახალდი. წამეიჭიმა წინ ორ კაპიკიან ტარანასავით და დეიწყო რაცხა ლექსი ხან ქახალდში ჩახედა, ხან ზეპირად ჩიოდა, მარა რო მიაწია შვაზე და... ქარ გუურჩა პირში? ქე დაავიწყდა, ჩახედა ქაღალდში ველარ მიაკლია, ქე დეიბნა კაცი; მარა ვინცხა იყო იგი ოჯახ აშენებული მესხიშვილი ყველას კი კოცნიდა გლახათ იტყოდა თუ კარქათ, და ამასაც ქე აკოცა ერთი. კოცნა კი არა ჩემი ნება რო ყოფილიყო ი[...] ფოლაქებს ყველას დავაგლეჯდი. ბაღნებს რაღაფერ[...] ასწავლის იგი, რომ მისდა ვერ დუუსწავლია ორი[...] ღერი სიტყვა. აგი სიტყვები და აგი ანბავი დღე[...] იყო ყოლისფერი, ახლა საღამოის არ იკითხავ? დილას, რო აქებდენ და ადიდებდენ, — ამფერი ხარ და[...] ამფერი ხარო, ჩვენი დიდება, ჩვენი სიამაყე, ჩვენი[...] სარკე ხარო ვინცხამ იგიც კი უთხრა, საღამოს, რო[...] ათამაშეს რაცხა ტრიატრია იმაში იმდონი სცემე[...] ამ შენ მოწონებულ სტუმარს, იმდონი აყვირეს, რომ[...] შენი გულის ანბავი, რომ ვიცი ვერასფეროობამდე[...] კურცხალს ვერ დეიმაგრებდი, რო ყოფილიყავი[...] და მართლა თუ ოცდა ათი წელიწადია ასთე სცე[...] მენ, წვერ-ულვაში კი არა სულ რაფერ არის ცოცხალი. კიდომ ბევრს ამბებს გეტყოდი, შენთან მუსაიფს რაღა მირჩევნია ჩემო ელპიტი მარა, რაცხა ორი ბობოლი ყაჭი მყავს და პაწეი საჭმელი თვარ წუუგდე არ ვარგა...

**ბორბოშა.**

---

# ღ ი ღ ი ნ ი

(ჩიბათიდან)

ათასი დარდი მაწუხებს,
ათასი გასაჭირიო,
მაგრამ მე მაინც ვღიღინებ,
ვიცინი, არა ვსტირიო!..
დღემდი ძმურათა ვცხოვრობდით,
არ ითქმებოდა ძვირიო,
ეხლა ჩვენს არევ-დარევას
ვერ იტყვის ენა-პირიო.

—

აზნაურები, მსახურნი
ერთმანეთს ეკიდებიან!
სიძულვილით და შურითა
ახლორე ვერა დგებიან.

ვინც რომ ქიშპობას მისდევს და
ერთობას ერიდებიან,
მერწმუნეთ, ამგვარი ხალხი
წელში ვერ გამაგრდებიან.
ტყეში ძროხებსა უჭერენ
აზნაურები მსახურსო,
მინდვრათ ღორებსა უხოცვენ
იდენენ ამგვარ გლახურსო!
მერწმუნეთ, თქვენთვის სიკეთე
და კარგი საქმე არ მშურსო,
მაგრამ ჯობს, ბოლო მოეღოს
ამ უსასგებლო ფაფხურსო.
უნდა იცოდეთ, ძმანებო!
თქვენა ხართ ჰეზობლებიო,
ზიზლი უძლვენით, ამგვარებს
თუ ჩაიდენენ სხვებიო.
დასთმეთ ეს შურიანობა,
იყავით სულგრძელებიო;
ერთობა გვმართებს ყველასა,
სხვებიც ბევრი გვყავს მტრებიო.

—

შემდეგ ვახსენოთ ღიღინით:
ჩიბათის სოფლის გზებიო,
ქვისა ხიდები ძირს ცვივა,
სამი თვის ნაკეთებიო!..
ვინაც არ იცის ამბავი,
არ დაიჯერებს სხვებიო,
ვგონებ, განგება უწყრებათ,
რომ ძმებს ღალატობს ძმებიო...

—

ეხლა მღვდლებს მიუღიღინებ
იქნებ მოულბო გულიო,
ვეტყვი: რომ ქრისტეს არ სწამდა
ხალხისგან დრამა ფულიო,
რომ შევასრულო მეც მინდა,
მაცხოვრის ბრძანებულიო,
არა მწამს გადავიხადო,
თუგინდ წამიწყდეს სულიო.

—

შკოლებს მივმართო ღიღინით,
ამონაკვნესის ხმაზედა;
მოწაფეები შორს სდგანან,
სწავლას უვლიან განზედა!
ორ კლასიანი მოსწავლე,
თუ რომ შეგხვდება გზაზედა,
სალამის ნაცვლათ, იცოდეთ
გადაგახტებათ თავზედა!..

—

მასწავლებლებო, მოსწავლეს
თქვენ აუხილეთ თვალია,

# დ ე პ ე შ ე ბ ი

**ფოთი.** კაპარჭინის მახლობელ სამიკიტნოებში მუშებს (ზოგიერთ ხაზეინთა მონაწილეობით) დაუარსებიათ გასასთობათ „რია-რია“ და „ტრი-ტუზა“.

— დასტრახულ სახლების დაწვა თანდათან ხშირდება; მხოლოთ ძროხის დაწვა თავისი ხბოით სახლთან ერთად კი პირველია.

— დაიწყო თუ არა მაისი, ბარიშნებმაც გამომზეურდნენ; გადაუწყვეტიათ თავიანთ გულში პოლიანდრია და ჰერიჰააა! გარდა „ყურ-მოკრული“ ამბების მეტი არა აქვთ-რა საფიქრალი...

— ბურთის თამაში წინათ პირველ მაისს იყო გურულ-მეგრელთა შორის, წელს კი ცოლიანი და უცოლო, მომავალ წელში ფიქრობენ კაცთა და ქალთა შორის იქნებაო.

**სუფსა.** საჭიროა ბინტები ჩამსვლელთათვის, რადგან კუჩრებს ძალა-უნებურათ მიჰყავთ მგზავრები თავიანთ ეტლში ჩასაჯდომათ და ხშირად მგზავრთა და მათ შორის „ბრეგვალიზაციაა“.

**ჭრიჭინა.**

—

(არამკითხეს საგენტოსაგან).

**დ. ლანჩხუთი.** მოეწყო ქალ-ვაჟთა ეკსკურსიები, ყველა მატარებლებთა დასახვედრად მზად არიან აქაური ინტელიგენცია. საზოგადო მოღვაწეობას მომავალ წლიდან შესწყვეტენ და გასრულიდან კლავ შეუდგებიან.

— საცაა დამთავრდება მასწავლებლების კარტ-მანქიაობის ეგზამენები.

**ქ. ფოთი.** ქყონიებ ქორქიების ომმა სერიოზული ხასიათი მიიღო, რომელიც უნდა მივაწეროთ ბალკანეთის ომის ზე გავლენას. მრავალ უკუ ქცევას შემდეგ რაოდენიმე დღის წინათ კვლავ გამოჩნთა ნოდაართევის ნაპირებზე, წინ უძლოდა ქორქიათა ტყაპარიაძის მესამე ბატალიონის ქვეითა ჯარი, შუადღის ცამეტ საათ-და ათ წუთამდე კურკანტელაით გატენილ ზარბაზნებს უშენდენ არენდატორის ნიჩფოსან (ნალმოსან) ფილიუკას. დაიჭრა ვიცე ადმირალი კუნჭულია მაგრამ ჯარი უკუქცეულ იქმნა.

— ქყონიების მზვერავმა რაზმმა შეიპყრეს პალიასტომის ესკადრა, კოტრ გენერალ ღლონტის დივიზია ნაპირს გადმოასხეს, ხელში ჩაიგდეს ბადე ნიჩბები და სხვა საომარი იარაღები, ამის გამო არენდატორ კიღურაძემ არენდატორ ქვანიას სილა გაარტყა, რომელმაც გამოიწვია ფოთის საშიშარი მიწის ძვრა.

---

**გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი:**

(ბათომის ნოქრებისთვის).

1. ის ვინ არის, რომ თავი დიდ გოძნაყათ მოაქვს და ნამდვილათ კი ნულათაც არ სთვლიან.

ასწავლეთ სწორათ მსვლელობა,
გაიგნოს გზა და კვალია;
მხოლოთ გახსოვდეთ კარგათა,
ეს არის თქვენი ვალია,
ამაებს გვერდს თუ აუქცევთ—
ზიზღს გიძღვნით მომავალია.

ნუ მისდევთ, მასწავლებლებო!
არშიყობისა ნებასო,
სიყვარულს ხორციელისას,
არჩევდეთ მოთმინებასო;
ამაღლდით სწავლა-გონებით,
მიჰყევით ქრისტეს მცნებასო,
თორემ, სიკეთის მაგივრათ,
სოფლებს მოუტანთ ვნებასო.

—

ეხლა ვეთხოვი სიმღერას,
ხმას ვატყობ დაძაბუნებას,
მაგრამ შემდეგშიც მივხედავ
ჩარხის უკუღმა ბრუნებას;
ვისზეც ვღიღინებ სიწმინდით
თუ არ შეიცვლის გუნებას —
მაშინ კი—კვალად ელოდეს
ის ჩემგან შეფუცხუნებას*)

**ობოლი.**

# სიზმარ-ცხადი

**ლანჩხუთის ინტელიგენციისა.**

ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტსა
ლანჩხუთის არე-მარესა,
მნათობი დაქათქათებდა,
ფერს სდებდა მგლოვიარესა.
აქაურ ინტელიგენტებს
დამტკბარათ მიძინებოდენ,
ლუარსაბურათ ხვრინავდენ,
სიამის ეშხით თვრებოდენ!
და ჰოი საკვირველებავ,
ეზმანათ უცხო სიზმარი,
რომლითაც იგრძნეს სირცხვილი
და ეხლა ყველა მზათ არი:
„აღარ იკმარონ მარტოკა,
მათ საქმე ჩინოვნიკური,
შეიქნან ქველმოქმედები,
მოღვაწე პოლიტიკური!

*) მეც ხელს შეგიწყობ, ძმობილო,
გაჩვენებ იმათ ხტუნებას,
კონდახის მაგრათ მირტყმას და
ჰინჰარის გადაცხუნებას.

ბეშტია

2. ის ვინ არის, თავის გამოჩენის წყურვილით, ყველა-ფერში ეჩხირება და სახელის მოხვეჭის ნაცვლათ ყველას სა-საცილოთ ხდება.

3. ის ვინ არის, გამოსაჩენ კრებებზედ და იუბილეებზედ არა მკითხე მეამბესავით გამოხტება და რეჩებს როშავს, ნამ-დვილათ კი აბდა-უბდობს.

4. ის ვინ არის, ყველას თითით საჩვენებლათ და სასა-ცილოთ გაუხდიათ.

5. ის ვინ არის, ვითომ სხვას ჭკუას ასწავლის და თვი-თონ კი მთელი ღამეებით „ცხრაში“ და „ბაქარაში“ ათენებს.

6. ის ვინ არის, თავი ლიტერატორი ჰგონია და თუ ორი რამე მოჩმახა, თავ მომწონეთ გაიყურება, აი, შემომხედეთ რა ბიჭი ვარო!

7. ის ვინ არის, სახლში მისას ძაღლი სიმშილის გამო დაწოლილი ძლივს ყეფს, თვითონ კი—ფეხებზე ლაკიროვანნი თვარ ჩამოიცვა, ვერ სძლებს, (ისიც ნისიათ).

**ყუნჩაძე.**

# გლოვა სოფლისა

(მიქელ-გაბრიელის საზოგადოებიდან)

**ვერაგულათ დახოცილთა ხსოვნას.**

თქვენ მსხვერპლი გახდით ქურდ-ბაცაცა ნაძირალების,
უმანკო ბავშვნიც არ დაინდვეს ბოროტმა ხელმა'..
თქვენ მსხვერპლი გახდით უმეცრების, ბნელი ძალების,
რისთვისაც გლოვა განიცადა მთელმა სოფელმა.

თქვენი სიკვდილით იცრემლება მთელი მუხურო,
თქვენი სიმართლით—ქვაც კი სტირის, მრისხანებს ზეცა!
ვისაც კი ესმა ეს ამბავი საუბედურო—
ყველა აღშფოთდა, აუტანელ ტანჯვას მიეცა...

—

მაგრამ ყველაზე დატანჯული, ის არის ბოლოს,
ვინც წინასწარათ განიძრახეს ეგ ბოროტება;
არ არის ღირსი—ხალხის ხელით რომ ჩაიქოლოს,
უნდა სასტიკად დაისაჯოს მათი არსება.

წყეულნი იყვნენ, საზიზღარნი მთელი ერიდან,
ვერ მოისვენოს მათმა სულმა მთელს სიცოცხლეში;
მხეცი ყოფილან, მხეცათ იყვნენ ამიერიდან,
მხეცებისაგან დაიგლიჯოს იმათი ლეში.

**გურიანთელი.**

# მოკითხვის უსტარი

მუდამ სახსოვარო, საყვარელო ჩემო ლანჩხუთო! ვერც კი წარმოიდგენ რა გრძნობები გროვდებიან ჩემს გულში, როცა შენდამი უსტარს ვწერ! ვინ იცის რამდენი მწარე და ტკბილი მოგონებანი არიან გადაბმულნი ჩემს გასულ ცხოვრებასა და შენს შო-რის ჩემო მეორე სამშობლო სოფელო! შენც კარ-

სულ დაივიწყონ:—კარტ-ნარდი,
იახშ, პილატეს ცრემლიო,
ქალებთან ძრომა-ხუნტრუცი, —
საქმეს მოჰკიდონ ხელიო
— ჩვენც კაცები ვართ, რას ბრანდვენ,
ეს რავა გვეკადრებაო,
ოზურგით-ჩოხატაური
რას მიედ მოედებაო!
თუნდაც თბილისი ავიღოთ,
ქუთაის-სამტრედიაო,
ან და ბათომიც მივაღოთ—
რა თავი აუგდიაო?!
ყველა თუ განათლებისკენ
გზას თელვენ, მიილტვიანო:—
გასამართლება, თეატრი,
ლექცია,—იძახიანო!..
ჩვენც ქუდი გვხურავს, კაცნი ვართ,
მასთან ვაჟრებიც გვყვანანო,
ლიპიან-ჩასუქებულნი,
გეურქ მეყასბეს გვანანო!
და ნახონ, თვარ მოვპატიჟოთ
არტისტი მესხიშვილიო,
გავმართოთ იუბილეი,
რომ დაგვრჩეს კმაყოფილიო“.
ქადილი საქმეთ აქციეს,
ხელათ გამართეს კრებაო,
თავმჯდომარესა ირჩევენ
და საქმე იჩარხებაო.
კომიტეტიცა გამოცხვა
თითის ფრჩხილებზე დგებაო!
შეფუცხუნდ-შემოფუცხუნდნენ
და კითხვა იბადებაო:
„ქანქარი არის საჭირო,
რაკი ჩვენ აღარ გვრჩებაო,
ღალადჰყვეს: ხალხნო მოგვიტა
და ჩვენგან დაითვლებაო,
ჩვენ ხომ ვერ ვივლით, ვიშრომოთ,
მუხლები დაგვეღლებაო!
ინტელიგენტნი გახლავართ
და არც კი გვეკადრებაო“.
თითქოს ხალხიცა შემოკრბა,
დასრულდა ქანქართ ჩხრიალი,
მაისიც დადგა თორმეტი,
მოსჩანს მინდორი ტრიალი.
შეაზე ტრიბუნა შემკული,
ზედ მესხიშვილი მჯდომარე;
მარჯვნით ექიმი, მარცხნით კი
ინსპექტორია მდგომარე.
პირველსა რიგში მოდიან
მასწავლებლები მწყობრათა,

გათ იცი, მთელი სამი წელი შენს წიაღში გავატარე და როგორ არ მეყვარები ჩემო კარგო?! ჰო და ძალიან ვწვუხარ შენზედ დაშორებას; ხოლო როცა დრო მაქვს ვცდილობ გესტუმრო და შენს ცის ტატნობს ვეამბორო.

აღდგომა მეოთხე დღეს გამოვეშურე შენსკენ, რომ მომელოცა ნათელი ქრისტეს აღდგომა. შენში რომ ფეხი შემოვდგი, რაღაც არე-მარე მესხვაფერა. ებრალიძნებში ფაცა-ფუცი იყო. რომ ვიკითხე: რა ამბავია თქო, მიპასუხეს: „ტყე მოიგეს და თავის ტანში აღარ ეტევიანო“... განვაგრძობდი გზას... ერთ მოსახლეს რომ მიუახლოვდი, რაღაც ხმაურობა მომესმა ეზოდან. მეც ბევრი აღარ მიფიქრია და კაკალ ეზოში მოვადინე წკვერტა. ეზოში თავი შეეყარათ რამოდენიმე კაცს და ერთ მოხუცს გაბრაზებით უყვიროდენ.

— შენ, ლუკაია! გეყურება თუ არა? ეუბნებოდა ერთი მათგანი.—რომ გიჩივით: „ის გლეხი ჩვენი ნაყმევიაო“ უნდა გეიგონო! იმიზა ციცაის მიცება არ გაბედო! გვარობით ნუ მოგვჯაყავ!

— რა ვქნა ივანე?—ჩახრიწიანებულის ხმით ეუბნებოდა ბებერი,—ჩემ ციცას და იმას ერთმანეთი უყვართ. ბიჭი კაია, საკუთარი ოჯახი აქ და მუშა ბიჭი კია. რა ვქნა!.. გვარობით რაფერ დევიწუნო?!

— ვაი შე გამოყეყეჩებულო ბებერო! ეშმაკმა წეიღო იმისთანა სიყვარული, თუ კი მას თვალები დაუდგება და გლეხს და აზნაურს ვერ გაარჩევს. სად გლეხი და სად აზნაური შე გამოტვინებულო.

— გამოცვინებულიც კი ხარ და ბოლო მოღებულიც. დაგიჩემებია: აზნაურობა, აზნაურობაო! რა გაგიკეთა ამ გაფხეკილ აზნაურობამ?

— შენ გამოგაშტერებს ღმერთი! გლეხს რომ წააჯდებიან კისერზედ: ეგ დრამაო, ეგ გზის სამუშაოო, ჩვენ ვინ გაგვიბედავს! მარტო ეგ რად ღირს? გაფხეკილი თვარა შენ დიდი ვინმე ხარ შენმა მზემ? მთელ შენ ქონებათ ჩემი მარტო ლობის სარები ღირს.

— დიახ, დიახ, ნაპარევი ლობის სარები! იმიზა იყო ნაობახი რომ გაგატკუცვიეს.—სთქვა მოხუცმა და წასვლა დააპირა.

— ლუკაია! იძლევი გადაჭრილ სიტყვას თუ არა?—მიაყვირა მეორემ.

— თავი დამანებეთ! ჩემი ციცაის საქმე მე ვიცი...

ვერ მოასწრო მოხუცმა სიტყვის დათავება, რომ დანარჩენებმა მოშლიჭეს ლობის სარები და დაუწყეს უწყალოთ ცემა დასუსტებულ მოხუცს. იგი მიწაზედ გაიშხლართა, ხოლო სარებს გაჰქონდა მის ზურგ-

3 726
1913

გვერდით მოჰყვებათ მხევლები—
მორთულნი,—კრძალვით, მორცხვათა.
ვაჭრების წარმომადგენელს
პოდნოსი მოაქვს შემკული,
დემოკრატია კი ლკან
თითქო ფრუნტშია ჩაბმული.
გახშირდა ლექსნი რეჩები,
ვინ იცის რათ არ სახავენ,
მიწაზედ არ აკარებენ,
ზეცაში ხელით აჰყავენ.
საჩუქრებზეც კი უხვობენ,
ნადიმსაც ეპირებიან,
აბა მუზიკა,—შესძახეს
და სიხარულით თვრებიან!..

—

ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტსა,
ლანჩხუთის მძინარ მხარესა,
სწრაფათ დაელა, დასჭექა,
შუქი შეუკრთო მთვარესა!
ანაზდათ შეკრთენ მძინარნი,
რა დააჭყიტეს თვალები,
იგრძნეს რომ ისევ ის და ის
მომაკვდავ შესაბრალები
არიან, კვლავ იქნებიან...
სხვაგან კი საქმე აღსრულდა,
ვინ მოელოდა მათგან სხვას!..
სიზმარი—სიზმრათ დასრულდა.

**ხიც-ხიც.**

## ჩვენი ფოსტა.

ია—ძეს. გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოჰყვეთ ბ. მეგრელიძეს მედიატორეში თუ თითონაც თანახმა არის და საბოლოოდ მოელოს ბოლო თქვენს უთანხმოებას, საქმის გამორკვევამდე არავითარ საპასუხო წერილებს ადგილს ვერ მივცემთ ვერც ერთ მხარისას.

—

ს. სამხთო. წკიპარტს.—თქვენს ბოლონდელ გამოგზავნილ ლექსს ჯერ-ჯერობით ვერ დავბეჭდავთ. იმ ყმაწვილზე რაც დაიწერა ისიც საკმარისია ამ ხანათ და შემდეგ ვნახოთ, შეიძლება უკეთესს გზას დაადგეს. მოგვაწოდე სხვა მასალები. ვინაობის გამომჟღავნებას ჩვენსკენ ნუ შიშობთ, ხოლო თქვენსკენ გაუფრთხილდით.

„ჩაილური“

მივიღეთ ნამდვილი თავ-ანკარი კახური ღვინოები. ფასები: ბოთლი 15 კაპეიკიდან 1 მანეთამდე. მისამართი: შუა-ბაზარი, საკუთარი სახლი № 74.

პატივისცემით მ. ე. დავლაშერიძე.

ზედ ბრიგინ-ბრიგინი რუსის დარაბანდივით.

გული ბოღმით ამევსო... ვეღარ უცქირე ამ სურათს და თმა აბურძგვნილი გავკურცხლე შინისკენ. მაპატივე ძვირფასო ლანჩხუთო, რომ შენს გულამდის ვეღარ მოვედი და „ქრისტე აღსდგა“ ვერ გითხარი. მაგიორში წერილით გილოცავ არა მარტო ქრისტეს აღდგომას, არამედ გალახულის აღგომასაც. ამ ზაფხულზე აზრათ მაქვს ისევ გესტუმრო, იმ პირობით თუ შენს შვილებს არ ეჭირებათ ხელში კეტები.

**კვასა-ბუკია.**

## წერილები რედაქციას.

ბ-ნო გამომცემელო! თქვენ ალმანახში ხშითად არის მოთავსებული ბ. ია—ძის ფსევდონიმით დეპეშები; შიგ შეურაცყოფილი პირები, ნაცვლათ იმისა, რომ საზოგადოთ მიღებულ საშვალებით თავი იმართლონ, ქუჩა-ქუჩა დაეძებენ ავტორს და ხელით შეხებითაც ემუქრებიან, რისთვისაც უმორჩილესად გთხოვ დამიმოწმოთ, რომ ია—ძის ფსევდონიმი მე არ მეკუთვნის.

პატივისცემით მოსე ქყონია.

ვამოწმებთ, რომ მოსე ქყონია არ არის ია—ძის ფსევდონიმით მოწოდებულ ცნობების ავტორი.

ალმანახის გამომცემელი.

—

ბ-ნო გამომცემელო! დამიხსენით გასაჭირისაგან და გამომიცხადეთ, რომ ოზურგეთიდან მოწერილ მესტვირულის ავტორი ყურფელარტაძე მე არა ვარ.

პატივისცემით მ. საბაშვილი.

ვაცხადებთ, რომ მ. საბაშვილი არ არის ყურფელარტაძე და არც რამე დამოკიდებულება აქვს ჩვენთან. თუ ვინმეს დაუმსახურებლათ შეურაცყოფა მიაყენა ჩვენმა კორესპონდენტმა ყურფელარტაძემ, ვთხოვთ პატივცემულ პირთ—უდანაშაულო ხალხს ნუ აწუხებენ და წესიერი საშვალებით გაიმართლონ თავი საზოგადოების წინაშე, რაშიდაც ჩვენც ხელს შეუწყობთ. წინააღმდეგ შემთხვევაში თვით დაამტკიცებენ თავიანთ სიმტყუნეს.

ალმანახის გამომცემელი.

მ ხ ა ტ ვ ა რ ი
გ. ზაზიაშვილი

იღებს ყოველ გვარ სამხატვრო საქმეს, როგორც ფერად წამლებით ისე სადათ. მისამართი: ჩერქეზიშვილის ქ. № 43, სახლი დვალიშვილისა.

ვინც გამოგზავნის სამი აბაზის ფოსტის მარკებს, გაეგზავნება მთელი გასული წლის ალმანახები, სულ 22 ნომერია.

„ალმანახში“ განცხადებების დაბეჭდვა ღირს სტრიქონი ორი შაური.

ელექტრონის სტამბა შრომა, .მუხრანის ქ. 12, თბილისი. გამომცემელი ა. ხუდავერდოვი.